



აზროსამრეწველო კომპლექსის ტექნიკური პარკის ზოგიერთი ასპექტი

შესაგალი

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან ეწ. „ვარდების რევოლუციამდე” საქართველოს სოფლის მეურნეობის პოსტსაბჭოთა სივრცეში წამყვანი ადგილი ეკავა. საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა და გასაღების ბაზრაზე სრულად აქმაყოფილებდა იმდროინდელ მკაფი სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

სამწუხაროდ, სახელმწიფო მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურების დაუდგენობისა და ამ დარგში გატარებული არასწორი პოლიტიკის შედეგად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სახნაფსათები მიწების დამუშავება მთლიანად მოიშალა და განადგურდა. კერძო სექტორში არსებული მიწის ნაკვეთების დამუშავება და მოსავლის მიღება დაბალი საექსპლორაციო მაჩვენებლების მქონე, ამორტიზებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ვერ იძლეოდა სასურველ შედეგს. მოიშალა საქართველოს სოფლის მეურნეობაში ჩამოყალიბებული მდიდარი ტრადიციები. საგრძნობლად იყლო პროფესიონალ აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა და მექანიზატორთა კადრების მომზადების დონემ და დასაქმების მიზნით მათზე ზრუნვაში. აღნიშნულის მიზეზები არასწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გარდა, უნდა ვეძებოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებასა და ახალი თანამედროვე ტექნიკის დანერგვის იგნორირებაში.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს აგროსამრეწველო კომპლექსში მომუშავე მეცნიერებისა და მექანიზატორთა დაახლოების სტრუქტურტექნიკული სქემის ჩამოყალიბებას, რაც მოგვცემს საშუალებას შევქმნათ საზოგადოებრივი მ.შ. კერძო სექტორში წარმოების ეკონომიკური უფლებისა და მექანიზმების, აგროსამრეწველო კომპლექსის და მეცნიერული კრიტერიუმების გათვალისწინებით სამეცნიერო ტექნიკისა და ჩამოყალიბების გზით.

1. აგროსამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო-ტექნიკური პარკის შექმნის ზოგიერთი მიმართულება

როგორც უკანასკნელი წლების საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ეფექტი-

თამაზ ბაციძაძე –
სტუ-ს პროფესორი

E-mail: tbatsikadze@mail.ru

პრბა სოხაძე –

სტუ-ს პროფესორი

ზურაბ გარესიშვილი –

სტუ-ს პერსპექტიული განვითარების სამსახურის მთ. სპეციალისტი

ანობის ანალიზი გვიჩვენებს, დარგის ძირითადმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა იწყო გაუარესება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო როგორც საბადო პოლიტიკაში დაშებული შეცდომებით, ისე სახნაფსათები მიწებისა და სავარგულების დაუმუშავებლობით, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის სახელდებულო ბაზის შემცირებით და მისი ხარისხებრივი მაჩვენებლების დაცვით. სოფლის მეუნიტის წამყვანი მიმართულებების, მათ შორის მესაქონლეობისა და მსხვილფეხარქოსანი პირუტყვის, მეცნიერებლების და თვეზების წარმოების იგნორირებამ, სახნაფსათები მიწების აუთვისებლობამ და მეცნიერებლის განვითარებაში დაშებულმა შეცდომებმა თავისი ნებატიური შედეგები გამოიდო. განსაკუთრებული უარყოფითი როლი ითამაშა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მკვეთრ გაუარესებამ. აუცილებელი გახდა მოვალეობული, ამორტიზებული სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების შეცვლა იმ მიზნით, რომ გაზრდილიყო საქართველოს სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის ხარისხი. ამ მიმართულებებით პრიორიტეტი გახდა: სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-დანადგარების ტექნიკური გადაიარაღება; ახალი ტექნიკისა და საწარმოო პროცესების, ავტომატიზირებული და მექანიზრებული სისტემების დანერგვა. აუცილებელი გახდა საქართველოს, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის და სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების მიერ მომზადებული ტექნილოგთა, აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა და ინჟინერ-მექანიზატორთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების სისტემის ხარისხებრივი სრულყოფა. ჩვენს შემდგომ ნაშრომებში უფრო დეტალურად განვიხილავთ აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების მიერ ამ მიმართულებით



გატარებულ კონკრეტულ ღონისძიებებს, თუმცა ავღნიშნავთ, რომ ამ კუთხით გარევეული მოსაზრებები და კალევითი სამუშაოები არის ჩატარებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, კერძოდ პერსპექტიული განვითარების სამსახურის სპეციალისტების მიერ მიმდინარეობს კალევა აგროსამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო-ტექნიკური პარკის შექმნასთან დაკავშირდით. დამუშავებულია აგროსამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო-ტექნიკური პარკის სტრუქტურული სქემა 1. ასევე კალევის პირველ ეტაპზე გამოიკვეთა აუცილებლობა იმისა, რომ საქართველოს პარლამენტთან შეიქმნას უწყებათაშორისი დარგობრივი კომისია აუდიტორული, იურიდიული, საბუღალტრო, საფინანსო-ეკონომიკური დარგის სპეციალისტებისაგან, როგორც სოფლის მეურნეობის საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის ვარგისიანობისა და საექსპლუატაციო პარამეტრების დასადგენად, ისე ამ ტექნიკის აღწერის მიზნით. თუმცა წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი თითქმის ყველა საწარმოს უმრავლესობის ბალანსზე რიცხული ტექნიკის უდიდესი ნაწილი გაძარცვული ან გაუმართავია, ხოლო ბალანსზე აყვანილია როგორც ექსპლოატაციაში ვარგისიანი. ამ საკითხის გათვალისწინება და გადაწყვეტა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დაშვებული შეცდომა გამოიუსწორებულ დადს დაასვამს აგროსამრეწველო კომპლექსის ახლად შექმნილ სამეცნიერო-ტექნიკურ პარკს და თავიდანვე განწირულს გახდის არაეფექტური მუშაობისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქის განვითარების მთავარი პრინციპია მეცნიერებისა და წარმოების მაქსიმალური დაახლოება, მათი მშეინარებო კავშირი, რომლის გარეშე მნელია დარგის პერსპექტიული განვითარება, ახალი მოთხოვნების შესაბამისად წარმოების გადაიარაღება, დარგის ორგანიზაციისა და მართვის ოპტიმალურად წარმართვა. სამწუხაოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამ მიმართულებით ჩასატარებელია მნიშვნელოვანი სამუშაოები, რაღაც გადადგმული ნაბიჯები არ არის ეფექტური და შეიძლება ითქვას არადამაქმაყოფილებელია.

შექმნილი სიტუაციის გამოსასწორების მიზნით გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნას აგროსამრეწველო კომპლექსის მიმართულების სამეცნიერო-ტექნიკური პარკი, რისთვისაც აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, სოფლის მეურნეობის ქვედარების წამყვანი სპეციალისტების, დარგობრივი სამეცნიერო დაწესებულებების და დარგობრივი პროგრესის კანონის მიზნით.


ლემებზე მომუშავე წამყვანი მეცნიერების მონაწილეობით. აღნიშნული ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები დიდ დახმარებას გაუწევს სოფლის მეურნეობის მართველ სტრუქტურებს, როგორც ყოველდღიური სამუშაოების შესასრულებლად, ისე გართულებულ სიტუაციებში ზუსტი გადაწყვეტილების მისაღებად.

აღნიშნული სიტუაციის გათვალისწინებით და დარგში შექმნილი საერთო მდგომარეობის ანალიზის შედეგად ჩვენს მიერ დამუშავებულია აგროსამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო-ტექნიკური პარკის სტრუქტურული სქემა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო ტექნიკარების შემავალი დარგებისა და სტრუქტურების ერთმანეთთან ურთიერთკავშირსა და მართვის სისტემას, დარგებისა და სამსახურების ერთობლიობასა და ურთიერთგანპირებულობას. აღნიშნული გაერთიანებულია მართვის ერთადმინისტრაციულ სისტემაში, რომელიც მოიცავს:

- კანცელარია;
- საფინანსო-ეკონომიკური სამსახური;
- ბუღალტერია;
- იურიდიული სამსახური;
- პერსპექტიული განვითარების ცენტრი;
- უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობისა და ინვესტიციების ცენტრი;
- აგროსამრეწველო კომპლექსის დარგობრივი ცენტრი;
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ცენტრი;
- სატრაქტორო პარკისა და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის ცენტრი.

საკითხის სრულფასოვნად შესასწავლად გასათვალისწინებელია ის, რომ საქართველო ტრადიციულად აგრარული ქვეყანაა და ეროვნული მეურნეობის სისტემაში სოფლის მეურნეობა გადამზადებელ მრწველობასთან ერთად, ყოველთვის მაპროფილებელ დარგს წარმოადგენდა, რომელშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღილი ეკავა როგორც სატრაქტორო პარკის, ისე სასოფლო-სამეურნეო და საურსათო მანქანათმშენებლობის კომპლექსურად განვითარებას.

აგრარულ სექტორში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის იგნორირებამ შეაფერსა საწარმოთა სიმბლავეების განვითარება, შეამცირა წარმოების ეფექტიანობა. არასწორი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად გაუქმდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მოელი რიგი საწარმოები. შექმნილი სიტუაციის ანალიზის შედეგად კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმ ელემენტარულ ჰემარიტებაში, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ტექნიკური პროგრესის კანონზომიერი




სქემა 1

შედეგია, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკური პარკების შექმნა და ფუნქციონირება ამ პროცესების ერთ-ერთი მთავარი კატალიზატორია.

აგროსამრეწველო კომპლექსის შემავალ სატრაქტორო და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის სამეცნიერო ტექნიკური აქტების აქვთ საუკეთესო შანსი კერძო საკუთრებაზე დამყარებულ მართვის სისტემაში მოხსნას ყველა

პრობლემა, ერთიანი ინოვაციური ტექნიკური და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების გზით.

სატრაქტორო პარკისა და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის დაშლილი საწარმოების რეანიმაცია ანუ თავიდან შექმნა და შემდგომი განვითარება არ შეიძლება ცალმხრივად წარიმართოს მხოლოდ მანქანათმშენებლო-



ნუკლი

ბის კუთხით. იგი მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და სამეცნიერო-ტექნიკური პარკის დარგობრივ სტრუქტურასთან, რაც ჩვენს მიერ ასახულია სქემა 1-ზე.

სატრაქტორო პარკი და სოფლის მეურნეო-

ბის მანქანათმშენებლობის ცენტრი ერთ ძირითად და მონოლიტურ სისტემას წარმოაგდენს აგროსამრეწველო კომპლექსის სამეცნიერო-ტექნიკური პარკის საერთო სტრუქტურაში. მისი როლი უაღრესად დიდი და მნიშვნელოვანია



დარგის მუშაობაში. ის არის კვანძი, სადაც ხდება სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების საბოლოო რეალიზება. იგი მთავარი დამსმარე არტერიაა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების ტექნიკური გადაიარაღების მომზადებასა და არასტანდარტული მოწყობილობებით დაკომპლექტებაში, მისი ფუნქციაა ტექნიკური დახმარება გაუწიოს სამეცნიერო ტექნოპარკში გაერთიანებულ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს და კროდულის მწარმოებელ საწარმოებს.

სატრაქტორო პარკისა და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის ცენტრი შედგება სხვადასხვა წამყვანი სამსახურებისაგან, მ.შ. ადმინისტრაციული, საგეგმო-საფინანსო, ბუღალტურია და იურიდიული. აქვს საკუთარი ბალანსი და საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობა. გარდა აღნიშნული სამსახურებისა ცენტრის მთავარ საქმიანობას განსაზღვრავს ექვსი ძირითადი სამსახური, მათ შორის, პერსპექტიული განვითარებისა და ახალი ტექნიკის სამსახური, ექსპერიმენტაციური გამოცდისა და დანერგვის

გამოყენებული

1. ბაციკაძე თ., სოხაძე კ., ფარესიშვილი ზ., - „ტექნოპარკები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები. სამეცნიერო-ტექნიკური პარკი, როგორც ინოვაციური რეალიზაციის ობიექტი“. ქურნ. „ბიზნეს-ინიციერინგი“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - საქართველოს საინინრო აკადემია, №4, თბ., 2012.

2. ბაციკაძე თ., სოხაძე კ., ფარესიშვილი ზ., - „სამეცნიერო ტექნოპარკი „გეროგიანული“ მოდელი“. ქურნალი „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრიბლები“, №6, თბ., 2012.

სამსახური, სატრაქტორო პარკისა და სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოების ქარხანა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური, ავტოსატრანსპორტო პარკი და სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამსახური, რომელიც გაერთიანებულია ერთ მთლიან სტრუქტურაში სქემა 2.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს უზარმაზარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და იმის შესაძლებლობა, რათა გამოიყენოს უნივერსიტეტის მეცნიერები და სპეციალისტები ეკონომიკურად ძლიერი მრავალდარგოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პარკის შესაქმნელად, რომელშიც უნდა ჩაერთოს როგორც სამთავრობო ისე სხვადასხვა სტრუქტურები, გაფორმდეს სათანადო ხელშეკრულებები, როგორც რესპუბლიკაში მოქმედ მსხვილ საწარმოებთან ისე მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან, რომლებიც თავის ბალანსზე არსებული ქონებით გაერთიანდებიან სამეცნიერო-ტექნიკური პარკის შემადგენლობაში, სამეცნიერო-ტექნიკური პარკის საკუთრების მართვის სრული უფლებით.

ლიტერატურა

პექტები”. ქურნალი „მართვის ავტომატიზირებული სისტემები“, №2(13), თბ., 2012.

3. ბაციკაძე თ., სოხაძე კ., ფარესიშვილი ზ., - „სამეცნიერო ტექნოპარკი „გეროგიანული“ მოდელი“. ქურნალი „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრიბლები“, №6, თბ., 2012.

4. სოხაძე კ., ფარესიშვილი ზ., - „ ბაზრის ანტიმონოპოლიური რეგულირება“, - გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2014.

SOME ASPECTS OF SCIENCE AND TECHNOLOGY PARK OF AGRO-INDUSTRIAL COMPLEX

Summary

TAMAZ BATSIKADZE - professor of GTU, E-mail: tbatsikadze@mail.ru
KOBA SOKHADZE - professor of GTU
ZURAB PARESHVILI - Chief specialist of GTU

The main principle for developing scientific-technical revolution epoch is appoximation of science and producing. Without those demands is absolutely impossible to develop perspective branches, renew production, organization of branches and management.

We consider to create on base of Georgian Technical University Georgian Agricultural Agro-complex scientific-technical park and also to create subsections, scientific offices and invite scientists working on the same problems in order to help Agricultural managers for receiving exact decisions in difficult situations.

As we have taken into the Consideration general situation there was overworked the model of scientific-technical complex and system of communication, Unity of above mentioned branches and services in one system of Administrative management.